პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 66 (6131) 4 1978 წ. აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის თასი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 2 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:0 (0:0).

„დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ქორიძე, მუჯირი, კოპალეიშვილი (გ. მაჩაიძე), მ. მაჩაიძე, ჩელებაძე (დურდიაძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„ფახთაქორი": ჩეჩეტინი, სეროსტანოვი, აგიშევი, ბასოვი, ზაგუმენიხი, კორჩენოვი, ჩურკინი, ანი, კურნევი, ფიოდოროვი, ბოკანოვი.

მსაჯი ა. შევჩენკო (მოსკოვი). გაფრთხილებულია ვ. ქორიძე.

# საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

1 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გამართულმა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განიხილა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის, „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ო. ო. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე ვ. ნ. კოსტეცკი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენება „მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის ამაღლების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგემ ვ. ნ. კოსტეცკიმ.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია და რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის პერსპექტიული გეგმა.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ამით რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

# ერთი გოლის მარაგით



თასის პირველი მერვედფინალური მატჩის დასაწყისი ბევრ საინტერესოს და საიმედოს უქადდა „დინამოს" გულშემატკივრებს. თბილისელებმა ცოცხლად, მაღალ ტემპში დაიწყეს თამაში, უკვე პირველივე წუთებზე სტუმრების კართან ზედიზედ შექმნეს სახიფათო მომენტები კოპალეიშვილმა, ჩელებაძემ, შენგელიამ. მართალია, საპასუხო შეტევის განხორციელებას „ფახთაქორიც" შეეცადა, მაგრამ ინიციატივა მატჩის დებიუტში მთლიანად მასპინძლებს ეპყრათ. ასეთ ვითარებაში საფიქრებელი იყო, რომ დინამოელები იოლად არ გაუშვებდნენ თამაშის სადავეებს ხელიდან და გამუდმებული იერიშებით ლოგიკურ შედეგამდე — გოლის გატანამდე მიიყვანდნენ კარგად დაწყებულ საქმეს.

მაგრამ მოხდა პირიქით. რაც დრო გადიოდა, დინამოელთა შეტევა სულ უფრო სუსტდებოდა. თავი იჩინა ტექნიკურმა წუნმაც — ჯერ ერთმა დაკარგა ბურთი, მერე მეორემ არაზუსტად შეასრულა გადაწოდება, ამას მოჰყვა ტემპის შენელება, ბურთის ყოვლად გაუმართლებელი, ზედმეტი და უსარგებლო ტარება, გაუბედაობა გადამწყვეტ მომენტებში და უკვე 10-12 წუთის მერე გუნდმა თითქმის მთლიანად დაკარგა უპირატესობა. ტაშკენტელებს საშუალება მიეცათ შუა მინდორში გადაეტანათ თამაში, სადაც მათი მეტოქე კიდევ უფრო აყოვნებდა, კარგავდა ძვირფას დროს კარის ნამდვილი შტურმის ნაცვლად.

გამონაკლისს არც მეორე ტაიმი წარმოადგენდა, თუმცა გუნდმა იგი შედარებით უფრო სწრაფად და მონდომებით ჩაატარა, ამასთან სახიფათო მომენტებიც გაცილებით უფრო მეტი შექმნა (ბურთები ძელს მოახვედრეს შენგელიამ, გუცაევმა, დაიკარგა გოლის გატანის სხვა შესაძლებლობანიც). რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო თბილისის „დინამოს" აკლია ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, რომელთა არყოფნა, ბუნებრივია, მნიშვნელოვან დაღს ამჩნევს გუნდის ძალას, მაგრამ ის, ვინც მინდორზეა, ვალდებულია თამაშობდეს ტაქტიკურად სწორად, გამართულად და მაქსიმალური წვლილი შეიტანოს კოლექტივის წარმატებაში.

გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებასაც, რაც, ჩვენი აზრით, სრულიადაც არ არის მეორეხარისხოვანი საქმე; განვლილ მატჩში მსაჯმა გაფრთხილება მისცა ვ. ქორიძეს, რომელმაც წესები დაარღვია ისეთ ვითარებაში, როცა საამისოდ სიტუაცია სრულიადაც არ იყო შექმნილი. ასე ტყუილუბრალოდ, დაუდევრობის გამო ღებულობენ ჩვენი მოთამაშეები გაფრთხილებებს, სეზონის დასასრულისთვის კი მათი რაოდენობა ისე გროვდება, რომ თბილისის „დინამო" ბოლო წლების მანძილზე „იმსახურებს" ერთ-ერთ ყველაზე უდისციპლინო გუნდის ერთობ არასახარბიელო პრესტიჟს.

ახლა, ტაშკენტში 16 აპრილის საპასუხო მატჩისთვის, დინამოელებს მხოლოდ მინიმალური უპირატესობა აქვთ და ერთი ბურთის იმედით არიან დარჩენილი. ეს გოლი საკმაოდ ეფექტურად იქნა გატანილი, 62-ე წუთზე გუცაევის სწრაფი ფლანგური გარღვევის, ზუსტი მიწოდებისა და ჩელებაძის თავური დარტყმის შედეგად.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დინამოელები სრული სერიოზულობით გაუკეთებენ ანალიზს განვლილი მატჩის ხარვეზებს, გამოასწორებენ მათ და მთელი სიძლიერით ჩაატარებენ ჩემპიონატისა და თასის მომავალ საპასუხისმგებლო მატჩებს.

ზ. ქორიძე.

• • •

სურათზე: გოლი ტაშკენტელთა კარში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ჭიდაობა

თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეებმა ისევე როგორც შარშან, წელსაც მოიპოვეს მსოფლიო თასი. ასპარეზობა ორ დღეს გრძელდებოდა ოჰაიოს შტატის ქალაქ ტოლიდოს უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში. ეს საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავეების მეექვსე გამარჯვებაა ასეთ ტურნირებში. პრიზისთვის იბრძოდნენ სსრ კავშირის, აშშ-ის, კუბისა და იაპონიის ეროვნული ნაკრები გუნდები.

საბჭოთა მოჭიდავეებმა გადამწყვეტ შეხვედრაში სძლიეს მასპინძლებს, ამერიკელებს 6:4. მანამდე მათ დაამარცხეს კუბელები (10:0) და იაპონელები (8:2). მოულოდნელი მარცხი იწვნია ოლიმპიურმა ჩემპიონმა ს. ანდიევმა, რომელმაც წააგო ამერიკელ მძიმეწონოსან ჯ. ჯეკსონთან.

ტურნირში მეორე ადგილი დაიკავეს ამერიკელებმა, რომლებმაც მოუგეს იაპონელებს (9:1) და კუბელებს (10:0). მესამე ადგილზე დარჩნენ იაპონელები, რომლებმაც ფრედ დაამთავრეს შეხვედრა კუბელებთან (5:5).

# მაია მოსიძე — სსრ კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის



ოდესა, 2 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა გოგონათა შორის სსრ კავშირის პირველობა 100-უჯრიან შაშში. ჩემპიონის სახელისთვის იბრძოდნენ ოსტატები ჟ. საკალაუსკაიტე (ლიტვა), ლ. ლევინა (რსფსრ), ა. აგრანოვსკაია (უკრაინა), 16 ოსტატობის კანდიდატი, მათ შორის სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ნ. ბრახუნოვა (რსფსრ) და 5 პირველთანრიგოსანი. პირველობა შვეიცარიული სისტემით (8 ტური) ჩატარდა.

I ადგილი და სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა მაია მოსიძემ (თბილისი) — 6,5 ქულა. მან 5 შეხვედრა მოიგო და 3 ყაიმით დაამთავრა.

II ადგილი ხვდა ოსტატობის კანდიდატ ე. ალტუშულს (ბელორუსია), III — საკალაუსკაიტეს — 6-6 ქულა.

გოგონათა შორის სსრ კავშირის ახალი ჩემპიონი მ. მოსიძე მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც შემოდგომაზე ერევანში ჩატარდება.

## ჩვენი კომენტარი

მაია მოსიძის ეს გამარჯვება სრულიადაც არ იყო მოულოდნელი. შარშან სოხუმში, სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალის დროს დიდოსტატმა ა. განტვარგმა გვითხრა:

— მაია ისეთი ნიჭიერი და თავდადებული მებრძოლია, რომ ძალიან შორს წავა. მაოცებს მისი შრომისმოყვარეობა და შაშისადმი ერთგულება.

სწორედ ამ ჩემპიონატში 15 წლის ახალბედა მაიამ ყაიმით დაუმთავრა შეხვედრები მსოფლიო ჩემპიონ ე. მიხაილოვსკაიას, სსრ კავშირის ჩემპიონს რ. ვიტკაუსკაიტეს, მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორებს ლ. ტრავინასა და ი. სპასკაიას.

თბილისის 126-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე მ. მოსიძე ძველისძველი თამაშის საიდუმლოებას 1974 წლიდან ეუფლება ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის შაშის წრეში მწვრთნელ ვ. ნინუას ხელმძღვანელობით (იგი მაიას ოდესაში ახლდა). გოგონა 1976-1977 წლებში იყო საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის 64 და 100-უჯრიან შაშში. მისი თამაშის ძალა ვაჟებმაც იგრძნეს, როცა შარშან საქართველოს პირველობაში IV ადგილი დაიკავა, წლეულს კი რესპუბლიკური თასის გათამაშებაში ფინიშთან მესამე მივიდა. არაფერია გასაკვირი, რომ მოსიძეს ვაჟთა შორისაც ოსტატობის კანდიდატის თანრიგი აქვს.

ჯერ კიდევ ოდესაში გამარჯვებამდე ნიჭიერი მოშაშე, როგორც დიდად პერსპექტიული, პერსონალურად მიიწვიეს 100-უჯრიან შაშში სსრ კავშირის ქალთა I საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 1 ივნისს დაიწყება ტაშკენტში. ოდესაში წარმატებამ კი მაიას სსრ კავშირის ქალთა IV ჩემპიონატის ფინალის კარი გაუღო.

მივულოცოთ მაია მოსიძეს დიდი გამარჯვება!

თ. ბიორბაძე.

„საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა; ყოველწლიური ფასიანი შვებულებების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა“.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტიდან.

# ...და იბადება სურვილები

**როცა** ქალაქი მზით გაივსება, აივნებზე აწევდილი ვაზი ატირდება და როცა მიწის, ბალახისა თუ იის სურნელი ქალაქშიც გაყონავს, ყველაზე მძაფრად ალვიქვამთ გაზაფხულს მაშინ.

და იბადება სურვილები მოგზაურობის, შთაბეჭდილებების, კარავში გათენებული ღამეების...

ტურიზმი — სიჯანსაღისა და სილამაზის, სიმხნევისა და საუკეთესო განწყობილების სათავე.

ეს რეკლამა არ გახლავთ. ჭეშმარიტებაა მხოლოდ.

გაზაფხულია და უხმობენ ტურისტული ბილიკები მოგზაურობისა და რომანტიკის მოყვარულთ.

ვესაუბრებით თბილისის ტურისტული კლუბის უფროსს ა. კუპატაძეს.

**● როგორ ხვდებით ახალ ტურისტულ სეზონს და რა სიახლეებია მოგზაურთა უკეთ მომსახურების მიზნით?**

— წლეულს ტურისტული სეზონის ოფიციალურ გახსნას 7 მაისს ვაწყობთ. ჩატარდება ერთობლივი ტურისტული შეკრება-შეჯიბრება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტურისტულ განყოფილებასა და ქალაქის კომკავშირის კომიტეტთან ერთად. მასში მონაწილეობას მიიღებენ წარმოება-დაწესებულებებისა და სხვადასხვა სასწავლებლების ტურისტული სექციები. აგრეთვე, თბილისის სამხედრო ოლქის ტურისტები. შეკრება-შეჯიბრება ტურისტული სეზონის გახსნასა და გამარჯვების დღეს — 9 მაისს მიეძღვნება. თავისი მასშტაბებით ეს ღონისძიება გრანდიოზული და სანახაობრივად მეტად საინტერესო იქნება. ტურისტული შეკრება-შეჯიბრება მის მონაწილეთ შესძენს დიდ გამოცდილებას, რომელიც სხვადასხვა სირთულის ლაშქრობებისა თუ მოგზაურობისთვის გამოადგებათ. ტურისტული სეზონის ოფიციალურ გახსნამდე, აპრილში დაგეგმილი გვაქვს მოვაწყოთ ავტოტურისტული მრავალჭიდი, სადაც იასპარეზებენ როგორც თბილისელი, ისე სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ტურისტები. დაგეგმილი გვაქვს გამოვცეთ ტურისტული მარშრუტის ერთი სრული კრებული და ოთხი ახალი მარშრუტი. ეს სიახლეებიც თავისთავად ხელს შეუწყობს მოგზაურთა უკეთ მომსახურებას.

**● საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში საუბარია მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის ფართოდ განვითარების, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების პირობების შექმნის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით რა ღონისძიების განხორციელებას აპირებთ?**

— ჩვენი ტურისტული კლუბი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ შმდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება ტურიზმში. ჩვენი მარშრუტი ასეთი გახლავთ: გლდანი — ვეჯინი — ვიბისის მთა — ჯვარი. ფინიში გვექნება საქართველოს სამხედრო გზის მცხეთის მონაკვეთზე. მთელი სეზონის განმავლობაში დაგეგმილი გვაქვს 200 ტურისტული ლაშქრობა. დასვენების დღეების გათვალისწინებით შევადგინეთ ლაშქრობათა კალენდარი. სამთო ტურიზმის მოყვარულთ ივნისში ვთავაზობთ შეჯიბრებას არმაზის ხეობაში. ივლისში ჩატარდება საწყლოსნო ტურისტთა ლაშქრობა მარშრუტით ლენინგრადი — ფსკოვი — ნარვა. აგვისტოში მოეწყობა ავტო-მოტო რალი ქალაქის პირველობაზე. აგრეთვე, მოვაწყობთ ექსპედიციებს თრიალეთისა და აღმოსავლეთ კავკასიის მთებზე. ხოლო სექტემბერ-ოქტომბერში, ტურისტული სეზონის დახურვასთან დაკავშირებით, კვლავ მოვუხმობთ მსურველებს ტურისტულ შეკრება-შეჯიბრებაზე.

**● როგორია კლუბში ტურისტული საჭურვლითა და ინვენტარით მომსახურების დონე, დააკმაყოფილებს თუ არა დღევანდელ მოგზაურს?**

— გულახდილად რომ გითხრათ, ორიოდე წლის წინ ამ მხრივ ჩავარდნები გვქონდა. მაგრამ დღეისთვის ეს მხოლოდ წარსულია. შარშან ჩვენმა ტურისტულმა კლუბმა გეგმა წარმატებით შეასრულა. ამან საშუალება მოგვცა ძირეულად გადაგვეხალისებინა ტურისტული საჭურველი და ინვენტარი. შევიძინეთ 70 ახალი კარავი. 100 საძილე ტომარა, 150 ზურგჩანთა. თამამად ვიტყვი, რომ დღეს ჩვენს კლუბს შეუძლია ერთდროულად მოემსახუროს 350-400 ტურისტს. რაც შეეხება ექსკურსიის ხელმძღვანელებს (ისინი ოცდაშვიდნი არიან), მათთან რეგულარულად ვატარებთ სემინარებს, სადაც ისინი იმაღლებენ ცოდნის დონეს, ეუფლებიან ორგანიზატორულ ხელოვნებას. ამას გარდა, საზოგადოებრივ საწყისებზე ვამზადებთ ტურისტულ კადრებს. გათვალისწინებულია 80 ინსტრუქტორის მომზადება — მათი მეცადინეობა უკვე მიმდინარეობს.

**...გაზაფხულია** და იბადება სურვილები მოგზაურობის, შთაბეჭდილებების, კარავში გათენებული ღამეების... გაზაფხულია და თბილისის ტურისტული კლუბი თავის სამსახურს გთავაზობთ. გთავაზობთ სიმხნევის, სილამაზის, დასვენებისა და კარგი განწყობილებების ბილიკებზე მოგზაურობას.

**მ. ბედიაშვილი.**

# მივიწყებული სექცია

**ტურიზმი** აწრთობს, ავაჟკაცებს, ამეგობრებს ადამიანებს, აცნობს ჩვენი ქვეყნის წარმტაც მხარეებს. ტურიზმი არა მარტო აქტიური დასვენების უებარი საშუალებაა, არამედ საუკეთესო ფორმაა ჩვენი თუ უცხო მთა-ბარის გასაცნობად.

ოც წელზე მეტ ხანს იარსება სოხუმის ს. ჭანბას სახელობის თეატრთან ჩამოყალიბებულმა ტურისტულმა სექციამ. სამწუხაროდ, უკვე ორი წელია, ტურისტული სექცია დავიწყებას მიეცა.

ახლა, როდესაც თეატრის ტურისტულ სექციაზე ვლაპარაკობთ, თვალწინ გვიდგას საინტერესო ლაშქრობები კავკასიონის გარშემო, მსახიობების მიერ დალაშქრული მწვერვალები, მუდამ თოვლიანი მარუხის, ბეჩოს, დონღუზ-ორუნისა და სხვა უღელტეხილები. გვაგონდება მწვერვალ ჩომკუზბაზე შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმა, ქლუხორზე დიდი ლენინის ბიუსტის ატანა და მთელი რიგი სხვა საინტერესო ღონისძიებები.

იმედია, სოხუმის ჭანბას სახელობის თეატრში კვლავ აღდგება ტურისტული სექცია და ჩვენი ახალგაზრდები დასვენების დღეებს სუფთა ჰაერზე გაატარებენ.

**ნ. მიქაშავიძე.**

სოხუმი.

# გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

**ტურისტის ფურცელი**

**№ 1 (10)**



- **მოულოდნელი აღმოჩენა არ ყოფილა არსენ აბრამიშვილისთვის.**
- **კვლავ აღსდგება მივიწყებული სექცია.**
- **თბილისის ტურისტული კლუბი თავის სამსახურს გთავაზობთ.**

# თავისუფალი დრო აქტიური დასვენების სამსახურში

# მთების მესაიდუმლე

**ნარკვევი**

უჯარმაში ტურისტებმა კარვების გაშლა ძლივს მოასწრეს, რომ მოულოდნელად კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. ნიაღვრები ჯიუტად ლამობდნენ კარავში შემოჭრას.

სწორედ ამ დროს დავინახეთ მაღალყელიან რეზინის ჩექმებსა და ყვითელ საწვიმარში გამოწყობილი კაცი, რომელშიც ჩემმა თანამოსაუბრეებმა ტრასის უფროსი არსენ აბრამიშვილი შეიცნეს. არსენი თოხით ხელში დადიოდა და კარვებთან მომწყდარ ნიაღვრებს მარჯვედ უკვლიდა კალაპოტს.

საღამოს არსენ აბრამიშვილის მეგობრების — ტურისტული შეკრება-შეჯიბრების ორგანიზატორთა წრეში მომიწია ყოფნამ.

ასე გავიცანი არსენ აბრამიშვილი — თბილისის სამხატვრო აკადემიის ხის დამუშავების სასწავლო ლაბორატორიის გამგე, სპორტის ოსტატი, ტურიზმის თავგადადებული გულშემატკივარი.

უჯარმაში, იმ წარღვნაში, ყველგან და ყველაფერში თვალში საცემი იყო არსენის პირველობა. ყველა საკვანძო საკითხი მასთან იყრიდა თავს. ეს „ცენტრალიზმი“ ისე ბუნებრივად და უშუალოდ გამოიყურებოდა, თითქოსდა სხვაგვარად შეუძლებელი იყო. ერთი შეხედვითაც იგრძნობოდა, რომ მათი ურთიერთობა მეგობრობაზე და ნდობაზე იყო დაფუძნებული.

ასეთი დამოკიდებულების დამყარებისთვის საკმარისი არაა მხოლოდ ცოდნა, გამოცდილება, საჭიროა ადამიანური თვისებები, რაც უხვად აქვს მომადლებული არსენს.

სპორტში მოსულთ სხვადასხვა მიზნები ამოძრავებთ — ერთნი მშობლებს მოჰყავთ, მეორენი „თავიანთი ფეხით“ მოდიან, რათა ყველაფერი არჩეულ სახეობას დაუქვემდებარონ, გახადონ იგი თავისი მეობის ჩამოყალიბებისა და სათქმელის გამოხატვის საშუალებად. ისინი დაუღალავი შრომით აღწევენ წარმატებებს, იხვეჭენ ტიტულებს. მათი განვლილი გზაც სწორედ მიღწეულის სიმაღლითა და ტიტულების სიუხვით განიზომება.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც სპორტში არც სახელს ეძებენ და არც დიდებას. სპორტი მათთვის ჰობია, რომელიც თავისი რომანტიკითა და გატაცებით ავსებს და ახალისებს ძირითად პროფესიას, სპორტი მათთვის ძალისა და სიმხნევის წყაროა.

არსენ აბრამიშვილი სწორედ ამ უკანასკნელთა კატეგორიას მიეკუთვნება. მაგრამ არ იქნება მართალი, თუ ვიტყვით, თითქოს მას არასოდეს გაეხედოს მოელვარე მედლებისკენ, არ მოენდომებინოს მათი დაუფლება. ალბათ არც არსებობს ისეთი ადამიანი, ვისაც სპორტულ ნადავლზე ბავშვობაში მაინც არ ეოცნებოს.

ოცნებობდა არსენ აბრამიშვილიც. ამას მისი პირველი სპორტული ნაბიჯებიც ადასტურებს: „შრომითი რეზერვების“ საქალაქო და რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონი, ამავე საზოგადოების საკავშირო პირველობის III ადგილი. ეს კლასიკურ ჭიდაობაში. ბირთვის კვრაში და შუბის ტყორცნაში კი „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს სამგზის ჩემპიონი... ასეთი იყო პირველი ნაბიჯები. არსენს უჭირდა მათ შორის მთავარის, ძირითადის გამოყოფა. „დაიბნენ“ მწვრთნელებიც, ყოველი მათგანი ცალ-ცალკე სთავაზობდა, ზურგი შეაქცია ყველაფრისთვის და მხოლოდ „მის“ სახეობაში ევარჯიშა...

ტურიზმი, მისი ბუნება — რომანტიკა და სიძნელეები, მოულოდნელი აღმოჩენა არ ყოფილა არსენ აბრამიშვილისთვის. პირველი ნათლობა ჯერ კიდევ სოფელ ნორიოს საშუალო სკოლაში სწავლისას მიიღო. შემდეგ, როდესაც მოსე თოიძის სახელობის პროფტექნიკურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა და სპორტის სხვა სახეობებშიც სცადა ბედი, მიხვდა, რომ ტურიზმი იყო მისი მთავარი მოწოდება. აქ განცდილი სიხარული თუ გულისტკივილი შეიცავდა იმ თვისებათა ნაკრებს, რომელიც სპორტის თითოეული, სხვა დარგისთვის იყო დამახასიათებელი. პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლის პერიოდში (სადაც იგი ტურიზმის სექციის თავმჯდომარე იყო) მან მრავალჯერ დალაშქრა სხვადასხვა უღელტეხილი და ხეობა. ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეობდა ქვეითად, თხილამურებითა თუ ბაიდარებით.

ტურიზმი მოლაშქრისგან დიდ ვაჟკაცობას, სიფხიზლეს, ენერგიას, ძალას, სისწრაფეს, სისხარტეს, განსჯას, სიდინჯეს, ვნებას და ვნების დაოკებას მოითხოვს. რომ იტყვიან, ფართო ასპარეზია მრავალმხრივი მონაცემებისთვის... ამას ემატება ბუნების იდუმალება და მოულოდნელობები, ისტორიულ ძეგლთა გაცნობა თუ სამშობლოს სიყვარულის საოცარი განცდა, ადამიანთა უბრალო, ჭეშმარიტად ადამიანური დამოკიდებულება. სულ სხვაა აქ შედუღაბებული ამხანაგობაც და მეგობრობაც.

— ჩვენს კოლექტივში არსენ აბრამიშვილი სრულიად ჭაბუკი მოვიდა, — იგონებენ აკადემიის პროფესორები გიორგი ქართველიშვილი და შოთა კუპრაშვილი. — კარგად გვახსოვს, მისი მოსვლის მეორე კვირას აკადემიის ფოიეში დაგვხვდა დიდი განცხადება, რომელიც ზედაზენზე ფეხით სალაშქროდ გვეიხმობდა. პირველ ლაშქრობას ისეთი წარმატება ჰქონდა, რომ მერე თითქმის ყოველ შაბათკვირას ეწყობოდა. ბუნების წიაღში სიარულმა, გარდა იმისა, რომ ერთობ დაგვამეგობრა ლაშქრობის მონაწილენი, კეთილი გავლენა მოახდინა ჩვენს შემოქმედებაზეც. ტურისტული ბილიკებიდან დანახული თვალწარმტაცი პეიზაჟების სახელდახელოდ ჩანახატებს მოგვიანებით ფართო მასშტაბის ფერწერული ტილოების შესაქმნელად ვიყენებდით...

აკადემიაში არსენ აბრამიშვილმა ველო, სამთო და საწყლოსნო ტურიზმის სექციები ჩამოაყალიბა. მოკლე ხანში ტურიზმი იმდენად პოპულარული გახდა სტუდენტთა შორის, რომ სამხატვრო აკადემია რესპუბლიკის ნაკრების ბაზად გადაიქცა. როდესაც რესპუბლიკაში სპორტულმა ორიენტირებამ შემოაბიჯა, არსენ აბრამიშვილის მიერ აკადემიაში ჩამოყალიბებულ წრეებს, ტურიზმის ეს ერთ-ერთი რთული და საინტერესო სახეობაც მიემატა. სწორედ არსენის დიდ ენთუზიაზმზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აკადემიას რესპუბლიკის პირველობაზე ორი გუნდი გამოჰყავდა და... I-II ადგილებს არავის უთმობდა.

არსენის ინიციატივით და ხელმძღვანელობით თითქმის ყოველ წელიწადს ეწყობა ერთი-ორი მნიშვნელოვანი ექსპედიცია-ლაშქრობა, რომლის ძირითადი ბირთვი აკადემიის სტუდენტები არიან. ბოლო მნიშვნელოვან ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია სპორტული ნავებით ფარავნის ტბიდან ხერთვისამდე დაშვება (ეს გზა ერთ-ერთი ურთულესია საქართველოში), იქიდან ვარძიაში გადასვლა და მდინარე მტკვარზე ქვიშხეთამდე დაცურება.

ამგვარი ლაშქრობების მონაწილენი აკვირდებიან და აღწერენ მდინარეთა ხასიათს. ეს ცნობები შემდეგში საკავშირო ჟურნალებში („ტურისტი“, „ვეტერ სტრანსტვია“ და სხვ). იბეჭდება. რაც ძალიან ეხმარება საწყლოსნო ტურიზმის მოყვარულებს მარშრუტების არჩევაში. არსენს განსაკუთრებით დაამახსოვრდა 1974 წელს ვლადივოსტოკში მიწვევა. მაშინ ადგილობრივმა ტურისტულმა საბჭომ მდინარე რემაზე პირველი დაშვება ჩაატარა. მონაწილენი იაპონიის ზღვაში უნდა ჩასულიყვნენ ორ-ორი გასაბერი ნავითა და ბაიდარით. არსენი, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი და საწყლოსნო სპორტის გამოცდილი ოსტატი, წინ მიუძღოდა მათ.

მდინარე რემა — მოკლე, წყალუხვი მდინარე — მდიდარია ჩანჩქერებითა და კანიონებით.

გზა გადიოდა დაბურულ ტაიგაში. დათვები, ზუბრები, ტყისა და წყლის ფრინველები, გაოცებული მზერით მიაცილებდნენ თავგადასავალთა „თავზეხელაღებულ“ მაძიებლებს.

მონაწილეებმა შეადგინეს მდინარის აღწერილობა. თითოეულ განსხვავებულ მონაკვეთს ისინი ხასიათისდა მიხედვით შესაფერის სახელს არქმევდნენ. აი, ასე გაჩნდა უკიდურეს შორეულ აღმოსავლეთში ქართული სახელწოდებები: „მტკვარი, „არაგვი“, „თერგი“.



დაშვება მშვიდობიანად დამთავრდა.

— რა ძირითადი თვისება უნდა ახასიათებდეს საწყლოსნო ლაშქრობის ხელმძღვანელს? — ვეკითხებით არსენს.

— იგი ისე უნდა ერკვეოდეს მდინარის ხმაურში, როგორც დირიჟორი მუსიკის ჰანგებში.

არსენ აბრამიშვილს უამრავი წერილები მოსდის, როგორც ჩვენი რესპუბლიკიდან, ისე მის ფარგლებს გარედანაც, ავტორები რჩევას თხოვენ.

ტურისტულმა მოგზაურობებმა არსენს ბევრი რამ შესძინა. ტურისტულ ბილიკებზე გაიცნო მომავალი მეუღლე ზეინაბი — საქართველოს 1966-1969 წლების აბსოლუტური ჩემპიონი სპორტულ ორიენტირებაში. მან ამავე სახეობაში ამიერკავკასიისა და შუა აზიის პირველობებშიც გაიმარჯვა. ახლა კი თბილისის დოსაავთან ჩამოყალიბებული სპორტული ორიენტირების სექციის უფროსი მწვრთნელია.

მოვდიოდი არსენ აბრამიშვილისგან და უნებურად ერთი ჩემი ნაცნობის სიტყვები გამახსენდა — ვერაფერი გამიგია ამ ხალხისა (ტურისტებსა და ალპინისტებს გულისხმობდა). თუ მაინცდამაინც გული ერჩით, ერთ პატარა მთაზე ხუთჯერ ან ათჯერ ავიდნენ. ხიფათიც გამორიცხული იქნება და ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებენო. იმ ჩემს ნაცნობს აუცილებლად უნდა გავაცნო არსენი...

**ჯ. კასრაძე.**

• • •

სურათზე: ა. ბრამიშვილი.

# მთავარი პრიზი — უკრაინელ მეხანძრეებს

ამ რამდენიმე წლის წინათ, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გაგზავნილი ერთ-ერთი სახანძრო მანქანა კატასტროფაში მოჰყვა, რომლის დროს დაიღუპა სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი და რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ბონდო შანიძე. საბჭოთა ოფიცრის ხსოვნის პატივსაცემად, საქართველოს სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ფედერაციამ გადაწყვიტა სისტემატურად მოაწყოს რესპუბლიკის ღია პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში, რომელსაც 1975 წლიდან უკვე ბონდო შანიძის მემორიალი ეწოდება.

წლეულს ჩემპიონატში საასპარეზოდ 18 გუნდის 100-ზე მეტი სპორტსმენი ჩამოვიდა თბილისში. ამასთან, 100-მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში სხვადასხვა წლებში ბ. შანიძის პრიზის სამივე მფლობელი — უკრაინელი ვ. კივირენკო, ბელორუსი ი. შულგა და მისი თანაგუნდელი ვ. ნემილოვი იბრძოდნენ. წლევანდელ მეოთხე მემორიალში ბელორუსიის, უკრაინის, რსფსრ-ს, ლატვიის, ლიტვის, აზერბაიჯანის, ლენინგრადის, ესტონეთის, უზბეკეთის, საქართველოს გუნდებთან ერთად გამოდიოდნენ ჩეხოსლოვაკიის I და II გუნდები, ხოლო ჩვენი რესპუბლიკა ამ ჩემპიონატში — თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ფოთის მეხანძრე-სპორტსმენებით იყო წარმოდგენილი.

100-მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვის სტარტზე ყველა გუნდი გამოვიდა. ბრძოლაში ჩართეს პირად ტურნირში მონაწილეებიც. პირველ ნახევარფინალში გაიმარჯვა ბელორუსიის წარმომადგენელმა ა. პიურომ, რომელმაც 17 წამი აჩვენა. მეორე იყო ა. ხაბიბულინი (უზბეკეთი) — 17,1. მეორე ნახევარფინალურ ტურნირში ფინიშთან პირველი მიიჭრა ბელორუსი მეხანძრე, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი და ჩემპიონი ორჭიდში ვ. ნემილოვი. მეორე ადგილი დაისაკუთრა რ. სიხარულიძემ, რომელიც გამარჯვებულს 1 მეათედი წამით ჩამორჩა. ფინალურ ოთხეულშიც გამარჯვებისთვის მთავარი შერკინება რ. სიხარულიძესა და შანიძის პრიზის მფლობელ ვ. ნემილოვს შორის წარიმართა. ამ უკანასკნელმა კვლავ გაიმარჯვა — 16,6, მეორე ადგილზეა რ. სიხარულიძე — 16,9. მათ შესამჩნევად ჩამორჩა მესამე პრიზიორი ვ. კივირენკო (უკრაინა), რომლის შედეგია 17,2. ამრიგად, ბ. შანიძის გარდამავალი პრიზი ისევ ბელორუსიაში „გაემგზავრა“.

სახანძრო ამანათრბენში 4×100 მეტრზე სსრ კავშირის რეკორდი როსტოვის ოლქის გუნდს ეკუთვნის და იგი 63,3 წამს უდრის. რაც შეეხება ბ. შანიძის მემორიალის რეკორდს, იგი 66,6 წამია და მისი ავტორი აზერბაიჯანის ნაკრები იყო. მეორე გარბენში, უკრაინის ნაკრებმა (400 მეტრი დაბრკოლებებითა და ხანძრის ჩაქრობით) 65 წამი აჩვენა და მემორიალის რეკორდი გააუმჯობესა. შემდეგ სტარტზე გამოვიდნენ როსტოველი მეხანძრეები, რომლებმაც ისევ გააუმჯობესეს რეკორდი — 64,5 წამი. ეს შედეგი 18 მოასპარეზე გუნდიდან ვერავინ დალაშქრა და პირველი ადგილი რსფსრ-ს კვარტეტს დარჩა. მეორეზეა უკრაინის, ხოლო მესამეზე ბელორუსიის ნაკრები, რომლის დროა 65,3 წამი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა 68,4 წამში დაფარეს მანძილი. გამარჯვებულ რსფსრ-ს კოლექტივს შანიძის სახელობის გარდამავალი ბროლის ლარნაკი მისმა შვილებმა — 9 წლის მიხეილმა და 8 წლის თამარმა გადასცეს.

ჩემპიონატის ბოლო აკორდი იყო საიერიშო კიბით მეოთხე სართულზე ასვლა. აქაც შეჯიბრების სტარტზე ყველა გუნდის 100-მდე სპორტსმენი-მეხანძრე გამოვიდა. ნახევარფინალში გავიდა 8 საუკეთესო მონაწილე, რომელთა შორისაც საქართველოს წარმომადგენელი არ იყო. პირველი ნახევარფინალური კვარტეტის მონაწილეთა გამოსვლიდან აღსანიშნავია უკრაინელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ვ. კივირენკოს შედეგი — 14,4. ბელორუსმა ა. ზოტოვმა 15 წამი აჩვენა და ისიც ფინალში გავიდა. მეორე ნახევარფინალში ბელორუსიის ორმა წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატებმა ა. პიურომ (15,2) და გ. კოშკარევმა (14,9) მიაღწიეს წარმატებას.

ამრიგად, ოქროს მედლის მოპოვებისთვის ფინალურ შერკინებაში ბელორუსიის წარმომადგენლები ა. პიურო, გ. კოშკარევი, ა. ზოტოვი და უკრაინელი ვ. კივირენკო ჩაებნენ. ამ უკანასკნელმა აქაც დიდი ოსტატობა და ნებისყოფა გამოამჟღავნა და ისევ 14,4 წამში „აირბინა“ მეოთხე სართულზე. მას ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად, მემორიალის სამახსოვრო მედალიც ხვდა. გამარჯვებულს ოდნავ ჩამორჩა გ. კოშკარევი — 14,7. ხოლო მესამე საპრიზო ადგილი ა. ზოტოვს ხვდა, რომლის შედეგია — 15,7. ბ. შანიძის IV მემორიალში გამარჯვებულ ვ. კივირენკოს (საკავშირო რეკორდი ამ სახეობაში 14,1 წამია და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელს ვ. კიპკოს ეკუთვნის) სულ 4 მეათედი წამი დააკლდა რეკორდის დასამყარებლად.

მსაჯთა კოლეგიამ დააჯამა ორდღიანი ასპარეზობის შედეგები. საქართველოს 1978 წლის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულად უკრაინის გუნდი მიიჩნიეს, რომელმაც 13485 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი ხვდათ ბელორუს მეხანძრეებს — 13351, ხოლო მესამე ადგილი რსფსრ-ს კოლექტივმა დაიკავა — 12800 ქულა. წარმატებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს გუნდის მიერ დაკავებული IV ადგილი. ჩვენმა სპორტსმენებმა 11235 ქულა მოაგროვეს.

შ. ქორიძე.





●

სურათებზე: საიერიშო კიბით მეოთხე სართულზე ასვლაში შეჯიბრების სტარტი და ფინიში; სპორტის ოსტატ ბონდო შანიძის მემორიალის მონაწილენი (მარცხნიდან) — ა. მინაარჟი (ჩეხოსლოვაკია), რ. სიხარულიძე (საქართველო), ვ. ვაცეკი (ჩეხოსლოვაკია) და ვ. ნემილოვი (ბელორუსია).

ე. ხუცურაულის ფოტოები.

●



# მხოლოდ ოთხი გუნდი

სოხუმის „დინამოს“ სასროლეთზე რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა საქართველოს ტყვიის მსროლელთა ჩემპიონატი არაოლიმპიურ ვარჯიშებში და რესპუბლიკური შეჯიბრება ოლიმპიურ ვარჯიშებში.

ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისისა და ქუთაისის სპორტსმენები. სამწუხაროდ, ამ კვარტეტის გარდა, უკვე რამდენი წელია, რესპუბლიკურ პირველობებში ვერ ვხედავთ სხვა ქალაქების წარმომადგენლებს.

გუნდების დაკომპლექტებას რესპუბლიკის ვერცერთი სხვა ქალაქი ვერ ახერხებს, მაგრამ საასპარეზოდ თითო-ოროლა სპორტსმენის გამოგზავნითაც თავს არავინ იწუხებს. ესაა მთავარი მიზეზი, რომ რესპუბლიკას უჭირს პერსპექტიული სპორტსმენების შერჩევა და ნაკრების სრულფასოვანი ძალებით დაკომპლექტება.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, რაც აფხაზეთის სპორტკომიტეტის (თავმჯდომარე გ. ხვარცკია) და მთავარი მსაჯის, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის მ. თურქიას გარჯის შედეგია.

ტურნირის მიზანი იყო სეზონისთვის რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შემოწმება, საქართველოს ნაკრების დაკომპლექტება, ნიჭიერი, პერსპექტიული მსროლელების გამოვლენა. ასპარეზობამ დანიშნულება გაამართლა — გამოვლინდნენ ახალგაზრდა მსროლელები: თბილისელი ა. გორბუნოვი, ბათუმელი ნ. სტრელცოვი, ქუთაისელი დ. ხაჭაპურიძე, სოხუმელი ვ. ჩუდოტვოროვი.

გამოცდილი სპორტსმენებიდან კარგად იასპარეზეს თბილისის არმიელებმა ვ. სალუქვაძემ, და ვ. სამოილენკომ, სოხუმელებმა ვ. ჭანტურიძემ და მ. პაპავამ. ამ მსროლელებმა სპორტის ოსტატობის ნორმატივს გადაამეტეს. პაპავამ კი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი გაიმეორა.

ასპარეზობამ დაგვანახა, რომ რესპუბლიკის ნაკრების წევრთა ნაწილი ჯერ კიდევ ვერ არის სასურველ სპორტულ ფორმაში, ადგილებზე სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ სეზონისთვის მათ მზადებას. არადა, ახლა ყოველ დღეს, ყოველ ვარჯიშს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არამარტო წლევანდელ საკავშირო სტარტებში წარმატების მოსაპოვებლად, არამედ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების საქმეშიც.

საქართველოს ნაკრებს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ზრუნვით უკვე დღეს ყველა პირობა აქვს შექმნილი კარგად გამოვიდნენ ქვეყნის ჩემპიონატსა თუ პირველობებში: მათ განკარგულებაშია პირველხარისხოვანი იარაღი და ტყვია-წამალი.

პირადი შედეგებიდან უხვმოსავლიანი იყო მცირეკალიბრიანი პისტოლეტის მრგვალ სამიზნეებზე სროლაში მოპოვებული მაჩვენებლები. სწორედ აქ გახლდათ სოხუმის დინამოელი მ. პაპავა უძლიერესი. მან 575 ქულა მოაგროვა და 15 ქულით ჩამოიტოვა თბილისის არმიელი ვ. სალუქვაძე, რომელმაც თავის მხრივ ორი ქულით აჯობა სოხუმელ ვ. ჭანტურიძეს („კოლმეურნე“) — 558.

მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა 60 გასროლაში საერთაშორისო სტანდარტებს უტოლდება თბილისის არმიელის ვ. სამოილენკოს მაჩვენებელი — 596 ქულა. სამაგიეროდ, მეორე და მესამე პრიზიორები, ბათუმელი ს. წულუკიძე (დოსააფი) — 583 და სამოილენკოს თანაგუნდელი ა. მარუთიანი — 587 თავიანთი შედეგებით მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ.

## ◎ სროლა.

**სხვა ტექნიკური შედეგები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. სტანდარტი 3×40.** ა. მარუთიანი — 1139, ვ. პანკოვი (თბილისი, ასკ) — 1124, ვ. ახალაძე (სოხუმი, „დინამო“) — 1124; **„გაქცეულ ტახზე“ სროლა.** გ. არევიანი — 562, ს. ქუსიკაშვილი (ორივე — თბილისი, ასკ) — 558, ა. გოროდიანკინი (სოხუმი, „ბურევესტნიკი“) — 558; **ნებისმიერი შაშხანა. სტანდარტი 3×40.** ახალაძე — 1122, პანკოვი — 1086, მარუთიანი — 1084; **არმიული შაშხანა. სტანდარტი 3×20.** მარუთიანი — 550, ახალაძე — 546, ტ. მალხასიანი (სოხუმი, დოსაავი) — 536; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სროლა.** კ. ფოტიევი — 585, ს. სტრეკალოვი (ორივე — თბილისი, ასკ) — 582, მ. ესაძე (ქუთაისი, დოსააფი) — 579; **მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა.** პ. ზიკოვი (სოხუმი, „დინამო“) — 558, ვ. ჭანტურიძე — 556, თ. კვანტალიანი (ქუთაისი, „დინამო“) — 552; **რევოლვერ-პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა.** სტრეკალოვი — 582, სალუქვაძე — 576, თ. მებურიშვილი (ქუთაისი, „სპარტაკი“) — 575.

საერთო გუნდურ ჩათვლაში იმარჯვა თბილისის ნაკრებმა — 134 ქულა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთისა (98) და აჭარის (22) კოლექტივები.

შედგა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც სათანადო ვარჯიშის შემდეგ სოხუმშივე აპრილში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატში.

**თ. ლეკიშვილი,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის სასროლო სპორტის სახეობების განყოფილების უფროსი.**

# „მეტი შეჯიბრების შუქი და ჩრდილი“

„ლელოს“ 1978 წლის 5 მარტის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ გორში გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირველობისას ქალაქის სპორტსკოლის კალათბურთელთა მწვრთნელმა ი. ქუმელაშვილმა შეჯიბრების ორგანიზატორების მიმართ არაკოლეგიალობა გამოიჩინა და ხელი შეუშალა შეჯიბრების ორგანიზებულად დამთავრებას.

როგორც გორის საქალაქო სპორტკომიტეტიდან გვატყობინებენ, **წერილში მოყვანილი ფაქტები ნაწილობრივ დადასტურდა.** შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაჯილდოების დროს ი. ქუმელაშვილმა დარბაზის სათავსოში ჩართო შუქი, რამაც ავტომატური დამცველის გადაძაბვა და ცენტრალური პროჟექტორების გამორთვა გამოიწვია. ამავე დროს, ნასვამი არ ყოფილა და არც დებოში აუტეხია. **მწვრთნელ ი. ქუმელაშვილს მიეთითა, ასევე მიეთითა სპორტული სკოლის დირექციას.**

რედაქციისთვის დაუზუსტებელი ფაქტების მიწოდებისთვის **კორესპონდენტ ი. თევდორაშვილს გამოეცხადა საყვედური.**





# გაისად პოლონეთში

**ტრადიციულად** დამკვიდრდა ქართველ და პოლონელ გოგონათა საერთაშორისო სამატჩო შეხვედრები. ამჯერად ასპარეზობა თბილისში გაიმართა. ქალაქ კრაკოვის სპორტკლუბ „ვისლას" ნორჩი სპორტსმენები ეწვივნენ თავიანთ მეგობარ-მეტოქეებს — გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული სკოლის აღსაზრდელებს.

შეჯიბრების დაწყებამდე სტუმართა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სპორტკლუბ „ვისლას" პრეზიდიუმის წარმომადგენელმა ვ. კოგუტმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენი გოგონები უკვე მეექვსედ ხვდებიან თბილისელ ტანმოვარჯიშეებს. ეს შეხვედრები საუკეთესო სკოლაა მათი დაოსტატებისათვის. შეჯიბრება ყოველთვის მაღალ სპორტულ დონეზე ეწყობა და ხელს უწყობს ჩვენი ქალაქების ახალგაზრდობის დამეგობრებას. წარსულში სახელგანთქმული ტანმოვარჯიშის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული სკოლა სანიმუშოა და მისი აღზრდილები საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები არიან.

— გუნდში ყველაზე უფროსი 18 წლისაა, უმცროსი — 11 წლისა, — გვითხრა „ვისლას" მწვრთნელმა ს. პანიშევსკიმ, — კ. მაფრანეცს, ს. სლოვინსკას, ი. პოდშიადლოს, მ. ბობინსკას, დ. კრუჩინსკასა და მ. სოშინას, მიუხედავად მათი ახალგაზრდობისა, საკმაო წარმატებები აქვთ — ისინი კრაკოვის ჩემპიონები არიან სხვადასხვა იარაღზე ვარჯიშში. მ. ბობინსკა პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია, დ. კრუჩინსკა „დინამიადაში" მონაწილეობდა; ყველაზე მეტ იმედს კი ოლიმპიური გუნდის წევრსა და მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონ მ. სოშინაზე ვამყარებთ...

...შეჯიბრება დაიწყო. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ მასპინძლები უფრო უკეთ იყვნენ მომზადებულნი. ხტომებში თ. კაკაშვილმა 9,3 ქულა აჩვენა, მეორე იყო დ. ბოდაველი — 9,25, მესამე — ნ. ნაცვლიშვილი — 9,2. თავისუფალ ვარჯიშშიც სამივე საპრიზო ადგილი ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა დაიკავეს: ქ. ციმაკურიძე — 9,3 ქულა, ნ. ნაცვლიშვილი — 9,15, ს. მაისურაძე — 9,1.

ცხარე ბრძოლა გაიმართა ძელზე ვარჯიშში. 9,4 ქულით გაიმარჯვა ქ. ციმაკურიძემ. მ. სოშინა მეორე ადგილით დაკმაყოფილდა — 9,1 ქულა, მესამეზე დარჩა მ. ბობინსკა — 8,95. ორძელზეც პირველი თ. კაკაშვილი იყო — 9,4 ქულა, მეორე მ. ბობინსკა — 9,25. მესამე მ. სოშინა — 9,15 ქულა.

მრავალჭიდში ადგილები ასე განაწილდა: ქ. ციმაკურიძე — 36,85 ქულა, მ. სოშინა — 36,05 ქულა, დ. ბოდაველი 36,0 ქულა. უმცროსი ასაკის გოგონებში ბადალი არ ყავდა ნ. კაკაბაძეს.

საერთო ჩათვლაში 180 ქულით გაიმარჯვეს მასპინძლებმა. გამარჯვებულებს ქართველმა ვეტერანმა ტანმოვარჯიშეებმა გადასცეს ჯილდოები — თასები და სიგელები.

მომავალ წელს ქართველი ტანმოვარჯიშე გოგონები პოლონელთა სტუმრები იქნებიან.

**რ. შანშიაშვილი.**



სურათებზე: თბილისის საერთაშორისო შეხვედრის მონაწილენი — პოლონელი და ქართველი ტანმოვარჯიშეები; ქ. ციმაკურიძე ძელზე ვარჯიშის დროს; შეჯიბრების მოლოდინში.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის თასზე

**1 აპრილს** გაიმართა თასის მერვედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრები. მოგვყავს მათი შედეგები: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (კიევი) 2:1, „შახტიორი" (დონეცკი) — „არარატი" (ერევანი) 3:0, „ნეფთჩი" (ბაქო) — სკა (ოდესა) 4:0, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:0, „ქაირათი" (ალმა-ათა) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:1.

შედგა განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსა" და სვერდლოვსკის „ურალმაშს" შორის. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა (პირველი მატჩი 0:0), რომლებიც გავიდნენ მერვედფინალში, სადაც შეხვდებიან ვოროშილოვგრადის „ზარიას".

### პირველ ადგილზე

**გაზაფხულის** არდადეგების პერიოდში მოლდავეთის ქ. სოროკში ჩატარდა საკავშირო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ლენინგრადის, თბილისის, ლვოვის, დნეპროპეტროვსკის, კიშინიოვისა და სოროკის 1961-62 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

წარმატებით იასპარეზეს თბილისელმა მოსწავლეებმა, რომლებმაც დაამარცხეს დნეპროპეტროვსკის (6:1), ლვოვის (4:1), ლენინგრადის (1:0), სოროკის (4:2) გუნდები და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს I ადგილი (მწვრთნელები: თ. კუბლაშვილი, გ. მუმლაძე, თ. მელაშვილი).

ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარებული იქნა თბილისელი გ. ცაავა, რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი. საუკეთესო მცველის პრიზი მიიღო თბილისელმა მ. ლაცაბიძემ.

### საფრანგეთი — ბრაზილია 1:0

**პარიზი.** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილეები — საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები 2 აპრილს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ამხანაგურ მატჩში. გამარჯვება ანგარიშით 1:0 წილად ხვდათ ფრანგ ფეხბურთელებს. ბრაზილიელთა კარში 87-ე წუთზე გოლი გაიტანა პლატინიმ.

„საფრანგეთის ნაკრები სერიოზული მეტოქე იქნება მსოფლიო ჩემპიონატში, — თქვა თამაშის მერე ბრაზილიელთა მწვრთნელმა ქ. კუტინიომ. — ეს კარგი გუნდია, რომელშიც ხუთი-ექვსი მაღალი კლასის ფეხბურთელი გამოდის. ევროპაში ჩვენი ტურნეს მიზანია საერთო შეთამაშება. 19 აპრილს ბოლო მატჩი გვექნება ინგლისის ნაკრებთან, 26 მაისს კი გავემგზავრებით არგენტინაში".

ბრაზილიის ნაკრები ევროპაში სულ 5 მატჩს ჩაატარებს. მორიგი შეხვედრა დანიშნულია 5 აპრილს მსოფლიო ჩემპიონთან — გფრ-ის გუნდთან.

### საწვრთნელი მატჩი

**სამტრედიის** სტადიონზე გაიმართა საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „ლოკომოტივსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის.

თამაში მიმდინარეობდა საინტერესო ბრძოლაში და დამთავრდა ფრედ — 2:2.

**ი. ნიკოლეიშვილი.**

## ტანვარჯიში

# პირველნი მრავალჭიდში, საუკეთესონი „იარაღებზე"

**მრავალჭიდში** გაზეთ „მოსკოუ ნიუსის" პრიზზე ტანმოვარჯიშეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა მოსკოველმა სპორტსმენებმა ე. მუხინამ და გ. კრისინმა შეჯიბრების ბოლო დღეს — 2 აპრილს, ცალკეულ სახეობებში გათამაშებული 10 ოქროს მედლიდან 6 მოიპოვეს. ოთხი მედალი ერგო კრისინს, რომელიც პირველი იყო თავისუფალ ვარჯიშში (19,0), ტაიჭზე (18,9), ორძელზე (19,2) და ლერძზე (19,3). მუხინამ თავი გამოიჩინა ორძელზე — 19,7. (ამ იარაღზე გამარჯვება მას შეჯიბრების სამი დღის ყველაზე მაღალმა შეფასებამ მოუტანა — 9,9) და თავისუფალ ვარჯიშში — 19,55.

ძელზე საუკეთესოდ შესრულებული ვარჯიშისთვის (19,2) მ. ფილატოვა ერთ ოქროს მედალს წაიღებს ლენინსკ-კუზნეცკში. სამი მედალი კი საზღვარგარეთ „გაემგზავრება". მათი მფლობელები გახდნენ: ამერიკელი რონდა შვანდტი — ბჯენითი ხტომა (19,275), კიმ გვან დინი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) — რგოლები (19,2) და იური რობელი (გდრ) — ბჯენითი ხტომა (18,9) (საკდესი).

### მთავარი მსაჯი დაინიშნა

ჰააგაში ფიდე-ს პრეზიდენტმა დოქტორმა მ. ეივემ (ჰოლანდია) გამოაცხადა, რომ მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ-ვ. კორჩნოის მატჩის მთავარი მსაჯი იქნება დასავლეთგერმანელი დიდოსტატი ლ. შმიდი. მის მოადგილეებად დანიშნული არიან დიდოსტატი მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია) და საერთაშორისო არბიტრი ე. ლარა (ფილიპინები).

ეს გადაწყვეტილება ფიდე-ს პრეზიდენტმა მატჩის მონაწილეებთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო.

### ვინ იქნება მეორე მონაწილე?

ჭაბუკთა შორის მსოფლიო პირველობაში შარშან ჩემპიონის ტიტული მოსკოველმა ა. იუსუპოვმა მოიპოვა. იგი წლეულსაც ითამაშებს, მაგრამ ვინ იქნება მეორე მონაწილე საბჭოთა ქვეყნიდან?

ამ მოჭადრაკის გამოსავლინებლად სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის ბავშვთა და ჭაბუკთა კომისიისა და მწვრთნელთა საბჭოს რეკომენდაციით შესარჩევ ტურნირში მიწვეული არიან ოსტატები ს. დოლმატოვი (მოსკოვი), ჰ. კასპაროვი (ბაქო), ბ. ტაბოროვი (კიევი), ლ. ფსახისი (კრასნოიარსკი), ლ. იურტაევი (ფრუნზე), ლ. ეოლიანი (ერევანი) და ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ზ. აზმაიფარაშვილი (თბილისი).

ტურნირი დაიწყება 4 აპრილს სოჭში. იგი ორ წრედ ჩატარდება.

აზმაიფარაშვილი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციის I კურსის ფრიადოსანი სტუდენტია. შარშან, II საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში, მან დიდად შეუწყო ხელი საქართველოს გუნდის წარმატებას და I დაფაზე უძლიერესის სახელი მოიპოვა. სოჭში ახალგაზრდა მოჭადრაკეს დახმარებას გაუწევს ოსტატი ა. ბუსლაევი.

## ჭადრაკი

### გამარჯვება ვადამდე

კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მიმდინარე „სანტა-ფე-დე-ბოგოტას" III საერთაშორისო ტურნირში დიდოსტატმა ე. გელერმა (სსრ კავშირი) ვადამდე გაიმარჯვა. დასკვნითი, XIII ტურის წინ მას 11 ქულა ჰქონდა და 1,5 ქულით უსწრებდა უახლოეს მეტოქეებს — საერთაშორისო ოსტატებს ს. ერნანდესს (კუბა) და ლ. გარსიას (კოლუმბია).

ბოგოტას ტურნირში ბევრი ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობს: დიდოსტატები გ. სიგურიონსონი (ისლანდია), ო. პანო (არგენტინა), საერთაშორისო ოსტატები მ. კუელარი, კ. კუარტასი (ორივე — კოლუმბია) და სხვ.

## „სპორტლოტო"

### „სპრინტის" სიახლე

**ამ დღეებში** გაიყიდება სპორტული ლატარია „სპრინტის" სპეციალური გამოშვების ბილეთები, რომელთა მფლობელებს ჩვეულებრივთან შედარებით უფრო დიდი 5-დან 10000 მანეთამდე მოგების იმედი უნდა ჰქონდეთ. მათ შორის **25, 50, 100, 500, 1000 და 5000 მანეთი.** მოგებულ ნივთებს შორისაა ავტომანქანები „ვოლგა", „მოსკვიჩი", „ჟიგული", „ზაპოროჟეცი". „სპრინტის" მოგებათა საერთო ფონდი წლეულს 67 მილიონი მანეთი იქნება, რომელიც ბილეთების გაყიდვის შედეგად შემოსული თანხის ნახევარს შეადგენს. მეორე ნახევარი კი მოსკოვის ოლიმპიადა-80-ისთვის მზადებას მოხმარდება.

ცნობილია, რომ „სპორტლოტოს" გაყიდული ბარათების ხარჯზე ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის 300 მილიონზე მეტი მანეთია გამოყენებული (საკდესი).

### ვინ რამდენი?

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მე-13 ტირაჟისა, რომელიც 29 მარტს მოსკოვში მოეწყო.

**„სპორტლოტო":** ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ექვსი ნომრის (შეღავათიანი ბურთულით) გამოცნობისთვის მოგება 4697 მანეთია, ხუთისთვის — 3697, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 91, ოთხისთვის — 66, სამისთვის — 4.

**„სპორტლოტო-2":** ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო; ექვსი ნომრის (შეღავათიანი ბურთულით) გამოცნობისთვის მოგება 2898 მანეთია, ხუთისთვის — 1898, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 56, ოთხისთვის — 31, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 9 აპრილიდან 9 მაისის ჩათვლით.

## წყალბურთი

**მინსკში** დაიწყო წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები.

წარუმატებლად აიღეს სტარტი თბილისის დინამოელებმა; ჯერ მათ მინიმალური სხვაობით — 7:8 წააგეს თავიანთ ალმაათელ თანაკლუბელებთან, ხოლო შემდეგ კვლავ დამარცხდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის (სსფ ცსკ) გუნდთან 3:7.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „მოსკვიჩი" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 4:2, „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — „დინამო" (ლვოვი) 5:6, „დინამო" (მოსკოვი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (კწფ ბაქო) — 4:4, სსფ ცსკ — უნივერსიტეტი (მოსკოვი) — 5:4, სკიფი (მინსკი) — „მეხნატი" (ტაშკენტი) — 6:6, „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (ლვოვი) 5:4, კწფ — „დინამო" (კიევი) 5:5, „მოსკვიჩი" — „დინამო" (ალმა-ათა) 3:6, „მეხნატი" — „ლოკომოტივი" 6:3, უნივერსიტეტი — სკიფი 6:5.

შეჯიბრებას ლიდერობენ მოსკოვის დინამოელები, რომლებსაც 13 ქულა აქვთ. II — III ადგილებზე არიან უნივერსიტეტის და სსფ ცსკ-ის გუნდები, რომლებსაც 10-10 ქულა აქვთ. თბილისის დინამოელები 4 ქულით ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფებიან.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02032